

შპს „ნომარი“

საიდენტიფიკაციო ნომერი : 400015960

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშო წლისთვის

შინაარსი

1. ზოგადი მონაცემები
2. საწარმოს ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა
3. საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა
4. აქტივების მიმოხილვა
 - 4.1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ
 - 4.2. მოთხოვნები დებიტორების მიმართ
 - 4.3. გადახდილი ავანსები
 - 4.4. ძირითადი საშუალებების მიმოხილვა
4. 5. სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიმოხილვა
5. დამატებითი ღირებულების გადასახადი
6. შემოსავლის აღიარება
7. ხარჯის აღიარება
8. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები
9. ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგება (ფორმა №1)
10. საქმიანობის შედეგებისა კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგება (ფორმა №2)
11. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა №3)
12. ცხრილი №1 ძირითადი საშუალებები
73. ცხრილი №2 საოპერაციო ხარჯები

1. შპს „ნომარის“ მონაცემები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნომარი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2011 წლის 1 მარტიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 400015960.

მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის შესახვევი №1, ხოლო ფაქტური მისამართია : ქ.თბილისი, რ. აგლაძის ქ.№7 (ე.წ.ელიავას ბაზრობა).

დამფუძნებელია მარიამ შკუბულიანი (პირადი ნომერი 01001041886) 100% წილით. დირექტორი იური შკუბულიანი (პირადი ნომერი 01004002861).

2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარეკლამო მასალებით ვაჭრობა, სარეკლამო აბრებისა და ბანერების დამზდება და რეალიზაცია.

საწარმოს მასალები შემოაქვს ძირითადად ჩინეთიდან , ტაილანდიდან გერმანიიდან, იტალიიდან .

საწარმოს არ გააჩნია საკუთარი შენობა- ნაგებობები. იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი და ერთი სასაწყობე შენობა ელიავას ბაზრობაზე შპს „ტატა“- სგან და ერთი სასაწყობე შენობა მისამართზე კედიას ქ.№15 სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკისაგან“

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის

მიმოხილვა

3.1. საწარმოს მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება. წარდგენილია 2018, 2019, 2020, 2021 და 2022 წლების ფინანსური ანგარიშგებები;

3.2. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

3.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

3.4. საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საწარმოს პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

3.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით. საწარმოს აქვს საბანკო ანგარიში გახსნილი სს „საქართველოს ბანკში“ ეროვნული ვალუტის ლარის, უცხოური ვალუტის USD, EUR, CNY ანგარიშები;

შპს „ნომარის“ ს/კ 400015960 ფულადი სახსრები

31.12.2023წელი			31.12.2022 წელი	
ვალუტა ეკვ.ლარში			ვალუტა ეკვ.ლარში	
სალაროს გონივ,ნაშთი	-	6587	-	5236
ლარი ბანკში	-	565214	-	136362
USD ბანკში	97985	263521	177371	479257
EUR ბანკში	647	1927	8688	25058
CNY ბანკში	10001	3782	-	-

3.7. საწარმოს მიერ გაცემული დივიდენდები აისახება, როგორც ფინანსური ოპერაციები;

3.8. საწარმო ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას იყენებს თვითღირებულების მოდელს;

3.9. საწარმოში ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

3.10. ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღრიცხვა ხდება შესყიდვის ღირებულებით. საწვავი ჩამოიწერება გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად;

3.11. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.12. საწარმოს საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში იყო 2270924 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 264827 ლარი შეადგინა, გაცემულია დივიდენდი დამფუძნებელზე

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან 208421 ლარი. რის შედეგად, საწარმოს საკუთარმა კაპიტალმა საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 2327330 ლარი;

3.13. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებებში ასახული(გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

3.14. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2024 წლის 7 აგვისტოს;

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

3.16. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4. აქტივები

საწარმოს აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფული და ფულადი ეკვივალენტები, გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მარაგები და სავაჭრო მოთხოვნები კრედიტორების მიმართ. ვინაიდან საწარმო არის იმპორტიორტი და იგი იმპორტს აწარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქონლის შესყიდვის მიზნით გადარიცხვებს ახორციელებს აშშ დოლარში, ევროში და ჩინურ იუანში. შესაბამისად საქონლის ფასი იანგარიშება შესყიდვის მომენტში არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

4.1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

4.1.1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №3-ის სახით;

4.1.2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს:

- საოპერაციო საქმიანობიდან;

- საინვესტიციო საქმიანობიდან;

- საფინანსო საქმიანობიდან;

4.1.3. მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია: პროდუქციის რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

4.1.4. ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები რაც 2023 წელს 2220 ლარია. გრძელვადიანი აქტივის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები, რომელის 2023წელს 51027 ლარს შეადგენდა. სხვა საინვესტიციო საქმიანობა საწარმოს არ ჰქონია.

4.1.5. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია 2017 წლამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდები რაც 2023 წელს 208421 ლარს შეადგენდა. მოგების გადასახადი ესტონური მოდელის მიხედვით 2017 წლამდე მიღებულ მოგებიდან გადახდილ დივიდენდზე აღარ დარიცხულა. სხვა საფინანსო საქმიანობა საწარმოს არ ჰქონია.

4.1.6. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები.

4.2. მოთხოვნები დებიტორების მიმართ

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისაგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით.

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

4.3. გადახდილი ავანსები

საწარმოს გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის შესყიდვის (იმპორტის) მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის საწარმოს საზღვარგარეთ მასალების შესაძენად ავანსად გადახდილი აქვს 6868 ევრო 20300 ექვივალენტი ლარში.

4.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი

ადიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება- ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

სხვადასხვა სახის ინვენტარისა და მოწყობილობა- დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 6-8 წელს, ავტომობილის - 10 წელს.

სხვა არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამა“ორისი“, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 10 წელს. დარიცხვის მეთოდი წრფივი.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება- ზარალში.

4.5. სასაქონლო- მატერიალური მარაგები

საწარმოში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი. შპს 'ნომარის' 2023 წლის საწყისი სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება 1332738 ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 657153 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგი, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 596846 ლარია და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის საბოლოო მარაგების ღირებულებამ 1386457 ლარი შეადგინა.

4.6. დამატებითი ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას: მომხმარებლისაგან მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების გაწევამდე მიღებული ავანსი, ან საქონლის და მომსახურების მიწოდება.

4.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს.

4.8. ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

5. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც გავლენას არ ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2023 წლის საანგარიშო პერიოდში ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საწარმოში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნაში მათ ასახვას.

შპს „ნომარის“ დირექტორი: /იური შკუბულიანი/

მთ. ბუღალტერი: /ციური ივანიძე/

შპს "ნომარი" საიდენტიფიკაციო ნომერი - 400015960

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები	წლის		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4.1	841031	645914
გადახდილი ავანსები	4.3	27127	240404
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4.5	1386457	1332739
სავაჭრო მოთხოვნები	4.2	56222	58000
ძირითადი საშუალებები	4.4	69639	25437
სხვა არამატერიალური აქტივები	4.4	728	970
სულ აქტივები		2381204	2303464

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება		29638	29598
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	3.13	24236	2942
სხვა ვალდებულებები			-
სულ ვალდებულებები		53874	32540
საკუთარი კაპიტალი	3.12	2327330	2270924
სულ საკუთარი კაპიტალი	3.12	2327330	2270924
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2381204	2303464
სულ მოკლევადიანი აქტივები		2310837	2277057
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29638	29598

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
ხელახლა

2024 წლი 7 აგვისტოს

შპს "ნომარის" დირექტორი: /იური შკუბულიანი/

ბუღალტერი: /ციური ივანიძე/

შპს "ნომარი" საიდენტიფიკაციო ნომერი - 400015960

საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები		1232962	1215901
საქონლის გაყიდვიდან	4.7	1170184	1170237
მომსახურების გაწევიდან		60558	45664
სხვა		2220	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-596846	-595551
საწყისი მარაგები	4.5	1332738	1289223
მარაგების შესყიდვა	4	657153	639066
საბოლოო მარაგები	4.6	1386457	1332738
საერთო მოგება		636116	620350
დასაქმებულთა ანაზღაურება		-181316	-192263
ცვეთა და ამორტიზაცია	4.4	-6850	-3323
იჯარის ხარჯი	2	-103525	-84991
საღებავების ხარჯი	4.8	-9515	-3561
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4.8	-53932	-40001
სულ საოპერაციო ხარჯები		-355138	-324139
საოპერაციო მოგება		280978	296211
წმინდა შემოსულობა(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	3.6	-16151	-33131
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)			42
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			
მოგება (ზარალი)		264827	263122
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3.12	2270924	2211749
ახალი აქციების გამოშვება(შპს- შემთხვევაში "კაპიტალის გაზრდა კოოპერატივის შემთხვევაში "საპაიო კაპიტალის გაზრდა	3.12	264827	263122
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	3.12	-208421	-203947
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
სულ საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	3.12	2327330	2270924

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 7 აგვისტოს

შპს "ნომარის" დირექტორი:

/იური შკუბულიანი/

ბუღალტერი:

/ციური ივანიძე/

შპს "ნომარი" საიდენტიფიკაციო ნომერი 400015960

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2023	31.12.2022
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1230742	1215901
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-762246	-1072020
გადახდილი მოგების გადასახადი		-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	468496	143881
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისათვის	-51027	-5012
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიან აქტივების გაყიდვიდან	2220	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-48807	-5012
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდების გადახდა	-208421	-203947
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-208421	-203947
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	645914	744123
სავალუტო კურსის ეფექტი	-16151	-33131
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	841031	645914

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია

2024 წლის 7 აგვისტოს

შპს "ნომარის" დირექტორი:

/იური შკუბულიანი/

ბუღალტერი:

/ციური ივანიძე/

შპს "ნომარი" საიდენტიფიკაციო ნომერი 400015960

ცხრილი №1

საოპერაციო ხარჯები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დასახელება	2023 წელ	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	181316	192263
საპენსიო შენატანი /დამსაქმებლის სახელით/	2388	2453
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	12550	2828
საიჯარო ქირა	103525	84992
იჯარით აღებული შენობის მიმდინარე რემონტი	114	15
საღარი აპარატის ხარჯი	236	555
არამატერიალური აქტივების ცვეთა	243	242
საწვავის ხარჯი	17	209
მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ხარჯი	1317	1186
სადეზინფექციო საშუალებების ხარჯი	0	48
კომუნიკაციის ხარჯები	1488	1840
ა/მ ტექდათვალიერების ხარჯი	51	51
დაზღვევა	3784	3620
ცვეთა და ამორტიზაცია	6607	3081
სხვა საერთო ხარჯი	1005	319
წყლის ხარჯი	12	113
ელ.ენერგიის ხარჯი	3972	3945
მომსახურება	5724	4192
დასუფთავება	915	956
საკონსულტაციო ხარჯი	15000	15000
სადებადგების ხარჯი	9519	3561
ბანკის მომსახურების ხარჯი	1754	2425
ქონების გადასახადი	475	245
სამივლინებო ხარჯი	3126	0
სულ	355138	324139

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია

2024 წლის 7 აგვისტოს

შპს "ნომარის" დირექტორი: /იური შკუბულიანი/

ბუღალტერი: /ციური ივანიძე/

შპს :ნომარი" საიდენტიფიკაციო ნომერი 400015960 ცხრილი №2

ძირითადი საშუალებები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დასახელება	საბალანსო ღირებულება 1.01.2023წ	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბალ ღირებულება 31.12.2023
ავტოსატრანსპორტო საშუალება	10563	0	0	629	9934
საბეჭდი და საჭრელი დაზგები	8424	50226	217	4727	53706
ოფისის აღჭურვილობა	2632	801	0	509	2924
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3189	0	0	638	2551
იჯარით აღებული ქონების ელ ქსელი	629	0	0	105	524
არამატერიალური აქტივები	970	0	0	242	728
სულ	26407	51027	217	6850	70367

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია

2024 წლის 7 აგვისტოს

შპს "ნომარის" დირექტორი: /იური შკუბულიანი/

ბუღალტერი: /ციური ივანიძე/

